საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/63 “ 27 ” ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. ხათაშვილის ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 25 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა საკითხი ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში, მათ შორის ხაშურის რაიონულ სასამართლოში, თავმჯდომარეთა დანიშვნის შესახებ. ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლის მევლუდ ხათაშვილის განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - მათ შორის, სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. 2022 წლის 27 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაიმართა კონსულტაცია ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან: ლალი ბესტავაშვილთან და ირმა გოგალაძესთან. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს მევლუდ ხათაშვილის კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ იგი არის კარგი მენეჯერი, გულისხმიერი პიროვნება, სასამართლოს აპარატში სარგებლობს დადებითი ავტორიტეტით და აქვს კარგი რეპუტაცია. მევლუდ ხათაშვილს აქვს მოსამართლედ და სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი - ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ მევლუდ ხათაშვილის დანიშვნის შესახებ, მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა პოზიციის გათვალისწინებით, 2022 წლის 8 ივლისიდან:

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მევლუდ ხათაშვილი დაინიშნოს ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მ. ხათაშვილისათვის ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 2 ივნისის №1/43 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე